KA021789133867215

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0108, გ.ჭანტურიას ქ.12

12 G.Chanturia Str.,0108 Tbilisi,Georgia

N5/23773

27 / აპრილი / 2015 წ.

სს „მ2“-ის გენერალურ დირექტორს
ბ-ნ. გ. ვახტანგიშვილს

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 21.04.2015წ. N185 წერილი, ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ტერიტორიასა და ქავთარაძის ქუჩას შორის სს „მ^2“-ის საკუთრებაში არსებულ 19614.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.14.04.028.041) საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებით მომიჯნავე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 21271.0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ N01.14.06.006.043) საზღვრის პირზე ფანჯრის ღიობების მოწყობაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

გაცნობებთ, რომ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო თავისი კომპეტენციის ფარგლებში არ არის წინააღმდეგი ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 21271.0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ N01.14.06.006.043) მხიდან, უნივერსიტეტის ტერიტორიასა და ქავთარაძის ქუჩას შორის სს „მ^2“-ის საკუთრებაში არსებულ 19614.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.14.04.028.041) საცხოვრებელი კომპლექსის საპროექტო შენობა-ნაგებობების ფასადებზე ესკიზური პროექტის შესაბამისად მოწყობილი იქნას ფანჯრის ღიობები, ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ დამტკიცებული პროექტის შესაბამისად.

ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ უნივერსიტეტის ტერიტორიასა და ქავთარაძის ქუჩას შორის სს „მ^2“-ის საკუთრებაში არსებულ 19614.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.14.04.028.041) საცხოვრებელი კომპლექსის შენობა-ნაგებობების ფასადებზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მხრიდან ფანჯრის ღიობების მოწყობის შედეგად სახელმწიფოს არ უნდა წარმოეშვას რაიმე სახის ვალდებულება.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარე

ეკატერინე სისაური

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

2960012
07/15126282-25
21.05.2015

სს "მ2" (404465529),
ქ.თბილისი ყაზბეგის ქ.#3-5

თქვენი 06.05.2015 წლის (#07/15126282-25) განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ 2014 წლის 30 აპრილის საქართველოს კანონის ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ'' მე-2 თავის მე-6 მუხლის მე-6 ,,ა'' და ,,ბ'' პუნქტების შესაბამისად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ჭრის და გადარგვის ნებართვის გაცემა დასაშვებია: სათანადო წესით გაცემული მშენებლობის ნებართვის არსებობის შემთხვევაში.

გთხოვთ წარმოადგინოთ მშენებლობის ნებართვა.

პატივისცემით,
თბილისის მუნიციპალიტეტის მერია / ქ. თბილისის
მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და
გამწვანების საქალაქო სამსახური
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
საქალაქო სამსახურის უფროსი ბიძინა გიორგობიანი

საქართველო
შპს "სინათლის ქალაქი"

GEORGIA
LTD "CITY OF LIGHT"

№ 4-01/856
206

"30" 06 2015 წ.

ს.ს. "მ2"-ის გენერალურ დირექტორს
ემზარ ოთხოზორიას
ს/კ 404465529
მის: ყაზბეგის ქ.№3-5
ტელ. 599 09 12 23

თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, მიხეილ შავიშვილის ქუჩა №2-ში მდებარე ს.ს."მ2"-ის საკუთრებაში რიცხულ არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე გარე განათების ხაზობრივი ნაგებობა კოდით (01.00.216) არ გადის.

დირექტორი: / ვ. ხორავა /

შემსრ. თ. დარასელია
საკ. ტელ. 591 97 55 76

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.00.216**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882009163059 - 09/06/2009 16:01:14

მომზადების თარიღი
12/06/2009 17:12:39

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	ხაზოვანი ობიექტი
01	**00**	**216**

ობიექტის ტიპი: **ელექტროგადამცემი ხაზი**

ობიექტის აღწერა: **გარე განათების თვითმზიდი იზოლირებული სადენი**

ობიექტის სიგრძე: **14420 მ.**

დაფარვის ზონა: **ვაკე-საბნურთალოს რ-ნი, უბანი N9-8**

ძველი საკადასტრო კოდი:

საკუთრების ტიპი: **საკუთრება**

დამატებითი მახასიათებლები: **გარე განათების საყრდენი 554 ცალი**

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882009163059 , თარიღი 09/06/2009 16:01:14
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 12/06/2009

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- წერილი N06-8/3825 , დამოწმების თარიღი:15/04/2009 , ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახური

მესაკუთრეები:
ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეული

მესაკუთრე: **აღწერა:**

ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეული

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება: **არ არის დატვირთული**

ვალდებულება

ყადაღა: **არ არის რეგისტრირებული**

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ: 48 12 47; 895 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე სარეგისტრაციო სამსახურში ან ,"სახალხო ბანკის" ნებისმიერ ფილიალში.